ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 53

4 მარტი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

თინათინ ნიბლოშვილი

ანა ლაშხი

გიორგი ბირბიჩაძე

გულია გოცირიძე

თარაშ შურღაია

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ შემდეგ საკითხებს:

სხდომის დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში სამხედრო ქალაქთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ახალგორის სახელის მინიჭების შესახებ.
2. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ბათუმის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, დიღმის ქედის ქუჩის გაგრძელების შესახებ.
4. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სერგი წულაძის ქუჩის მონაკვეთისთვის შალვა დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ.
5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, შალვა დოლიძის ქუჩის მონაკვეთისთვის თეთრი წყაროს ქუჩის და თეთრი წყაროს I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეფე ლუარსაბ I-ის სახელის მინიჭების შესახებ.
7. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, თამარ მამულაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული გია ქარსელაძის სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, რევოლუციის ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის სპორტსმენის ზარბეგ ბერიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
9. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის I და II შესახვევებისთვის ფიჭვების ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.
10. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ღვინის სახელის მინიჭების შესახებ.
11. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, პოლიციის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის პოლიციის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.
12. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგების სატყეო უბანში, ივანე მაჩაბლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კინორეჟისორების შოთა და ნოდარ მანაგაძეების სახელის მინიჭების შესახებ.

კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი მოისმინეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია რეგულარულად თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროს სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურთან. სწორედ ამ თანამშრომლობის ფარგლებში დამისამართდა არაერთი ქუჩა და და არაერთ მოქალაქეს მოეხსნა მისამართის პრობლემა. როგორც გამოიკვეთა დღევანდელ სხდომაზე რამდენიმე საკითხი სწორედ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურისთვის მოქალაქეთა მიმართვის საფუძველზე განიხილება. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. განცხადებაში მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით შეისწავლა ტერიტორია, გაითვალისწინა ოკუპირებული ახალგორის რაიონიდან დევნილი მოქალაქეების მოთხოვნა (განცხადებას ერთვის 45 მოქალაქის ხელმოწერა) და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ისნის რაიონში, სამხედრო ქალაქთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ახალგორის სახელი.

ასევე სამისამართო სამსახურთან მიმართვის საფუძველზე კომისიამ დააკმაყოფილა მოქალაქის მოთხოვნა დამისამართებასთან დაკავშირებით და მიიღო გადაწყვეტილება, რომ კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ბათუმის II შესახვევის სახელი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად დადებითად გადაწყვიტა შემდეგი საკითხიც. გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ქოშიგორაზე, დიღმის ქედის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია დიღმის ქედის ქუჩის გაგრძელება.

ასევე რეესტრს მიმართა კრწანისის რაიონში, შემოერთებული ტერიტორიის, კერძოდ სოფელ თელეთის მაცხოვრებელმა და მოითხოვა დამისამართება. კომისიამ სახელის შერჩევის დროს გაითვალისწინა, რომ მეფე ლუარსაბ I-ის მოღვაწეობა პირდაპირ კავშირშია ქუჩის

მდებარეობასთან, 1522 წელს თელეთის ბრძოლის ეპიზოდის ნაწილში. ამიტომ გადაწყვიტეს მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მეფე ლუარსაბ I-ის სახელი.

სხდომის თავმჯდომარის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია საჯარო რეესტრის წერილი, რომლის საფუძველზეც მოქალაქე ითხოვს ჩუღურეთის რაიონში დამისამართებას. საკითხის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო ქუჩა მდებარეობს ჩუღურეთის რაიონში, თამარ მამულაშვილის ქუჩასთან, მასთან განვითარებულია ერთი შესახვევი. რადგან ქუჩა ატარებს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამარ მამულაშვილის სახელს,

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს გია ქარსელაძის სახელი, რომელიც ასევე დაღუპულია 9 აპრილს.

მიხეილ ამაშუკელმა განიხილა სამგორის რაიონის მაცხოვრებლის განცხადება, რომელმაც მიმართა საჯარო რეესტრის სამისამართო სამსახურს და მოითხოვა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება. საკითხის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს პოლიციის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო ჩიხს. გადაწყვიტეს, რომ პოლიციის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს პოლიციის I ჩიხის სახელი.

მეოთხე და მეხუთე საკითხები შეეხება ისნის რაიონში მდებარე გეოგრაფიულ ობიექტს. კომისიაში შემოსულია შპს „საგზაო ისანის" დირექტორის წერილი, რომლითაც ითხოვს მისი კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე გამავალი ქუჩის სახელწოდების ცვლილების კორექტირებას. კომისიამ ადგილზე შეისწავლა გრემოებები, რა დროსაც დადგინდა, რომ გზის და ქუჩის მონაკვეთი უშუალოდ კვეთს რეგისტრირებულ საკადასტრო ერთეულებს, ამასთანავე ქუჩათა არსებული განვითარება არ შეესაბამება ფაქტობრივ გარემოებებს. კომისიის სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ისნის რაიონში, სერგი წულაძის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს შალვა დოლიძის სახელი, შალვა დოლიძის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს თეთრი წყაროს ქუჩის სახელი და შალვა დოლიძის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს თეთრი წყაროს I ჩიხის სახელი.

მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით კვლავაც აქტუალურია კომისიისთვის ბოლშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებული სახელწოდებების ცვლილება. გლდანის რაიონში შემორჩენილია რევოლუციის ქუჩა. მოქალაქე ივანე ბერიაშვილი ითხოვს აღნიშნულ ქუჩას შეეცვალოს სახელწოდება და მიენიჭოს საქართველოს დამსახურებული სპორტსმენის, თავისუფალი სტილით ჭიდაობაში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონის ზარბეგ ბერიაშვილის სახელი.

ზარბეგ ბერიაშვილს გარდა სპორტული მიღწევებისა, გლდანის რაიონის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მინიჭებული აქვს გლდანის რაიონის პირველი საპატიო მოქალაქის

წოდება. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია გლდანის რაიონში, რევოლუციის ქუჩას და მასთან არსებულ ერთ შესახვევს მიენიჭოს სპორტსმენის ზარბეგ ბერიაშვილის სახელი.

კომისიის თავმჯდომარემ განიხილა დაბა წყნეთში მცხოვრები მოქალაქეების განცხადება, რომლითაც ალ. ჭავჭავაძის I შესახვევის ქუჩად ჩამოყალიბებას ითხოვენ. მოსახლეობასთან ზეპირი კონსულტაციის საფუძველზე კომისიამ გაითვალისწინა მათი მოთხოვნა, რათა ქუჩას მიენიჭოს ფიჭვების სახელი (აღსანიშნავია რომ დასახლებაში გაშენებულია ფიჭვნარი) სახელის შერჩევისას კომისიამ იხელმძღვანელა ტოპონიმური სახელწოდების შერჩევის

პრინციპით და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის I და II შესახვევებს მიენიჭოს ფიჭვების ქუჩის სახელი.

მეათე საკითხის განხილვისას მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით, ისნის რაიონში ვაზის ქუჩასთან მდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლებლები ითხოვენ უსახელო ქუჩას მიენიჭოს ღვინის სახელი. კომისიამ გაითვალისწინა მოქალაქეების მოთხოვნა და აღნიშნულ ქუჩას მიენიჭა ღვინის სახელი.

მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს ასევე გააცნო ვაკის რაიონში, ბაგების სატყეო უბანში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდების საკითხი. ტერიტორიის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მიმდებარედ არის კინორეჟისორ დიმიტრი ბათიაშვილის ქუჩა. უსახელო თემატური კონტექსტიდან გამომდინარე კომისიამ გადაწყვიტა უსახელო ობიექტს მიენიჭოს ასევე რეჟისორების შოთა და ნოდარ მანაგაძეების სახელი.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოისმინეს, თავმჯდომარესთან ერთად იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ხსენებული საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას და კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნება

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი